აპრილი 2018

ევროპული სკოლა

სკოლის გაზეთი

სწრაფი ცვლილებების ეპოქაში IB-ის მისია მიზნად ისახავს, განათლების გზით შექმნას უკეთესი მსოფლიო. IB-ის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მეშვეობით შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რამდენად გაიზარდა IB-ის საზოგადობა და როგორ ცვლის IB საერთაშორისო განათლების მომავალს მთელ მსოფლიოში. საიუბილეო თარიღის აღნიშვნამ საშუალება მოგვცა, გაგვეცოცხლებინა IB-ის ისტორია და გვეჩვენებინა IB განათლების გამორჩეულობა.

გლობალური აზროვნება IB განათლების ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს; გლობალური აზროვნება არის ის, რის დანერგვასაც ჩვენ ვცდილობთ „ევროპულ სკოლაში.“ ამ პროცესში ჩართულია ყველა - უმცროსკლასელებით დაწყებული, უფროსებით დამთავრებული. ჩვენ ყველანი ერთად ვცდილობთ, შევიმეცნოთ და დავნერგოთ გლობალური აზროვნება. მჯერა, რომ IB-ის 50-ე იუბილემ ჩვენი მოსწავლეებისთვის უკეთესი სასწავლო გარემო შექმნა და გააძლიერა მათი საერთაშორისო აზროვნება. მჯერა, რომ ჩვენი მომავალი ლიდერები, მეცნიერები, ინჟინრები და მრეწველები გამოიწვევენ რეალურ ცვლილებებს მომავალი თაობებისთვის და დაგვიტოვებენ საშუალებას, მათი წარმატებები ჩვენც აღვნიშნოთ.

იმის ფონზე, რომ IB მსოფლიოში სულ უფრო და უფრო იზრდება, მჯერა, რომ ჩვენი სკოლის IB თემი კიდევ უფრო გაძლიერდება და შექმნის უკეთეს მსოფლიოს. ვიმედოვნებ, რომ ჩვენს საზოგადოებას უფრო მეტად, ვიდრე არასდროს, აქვს იმის საშუალება, რეალურად შეცვალოს სამყარო.

სოფიო ბაზაძე, „ევროპული სკოლის“ აკადემიური დირექტორი

„ევროპულმა სკოლამ,“ რომელიც ამაყობს IB-ის მსოფლიო სკოლის სტატუსით, ორი კვირის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობითა და ღონისძიებით აღნიშნა IB-ის 50-ე წლისთავი:

- მოსწავლეთა პროექტების პრეზენტაციები და სამეცნიერო კონფერენციები;
- IB PYP-ის ასამბლეა და ღია გაკვეთილები;
- IB MYP-ის ასამბლეა;
- ქართული პროგრამის საბაზო და საშუალო საფეხურის ასამბლეები;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დღე;
- ტექნოლოგიების დღე;
- უცხოური ენების დღე;
- ქართული ენისა და ლიტერატურის დღე;
- მათემატიკის დღე;
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა დღე.

„ევროპულ სკოლაში“ კარგად გვესმის, რომ საჭიროა, მოსწავლეებს ჩამოვუყალიბოთ კრიტიკული აზროვნებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები, გადაჭრან რთული საკითხები. რადგან, „როდესაც ვფიქრობთ ცვლილებებსა და ამოუცნობ მომავალზე, ამ გონებრივ შესაძლებლობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.“

„ევროპული სკოლა“ გილოცავთ 50-ე დაბადების დღეს!

კრისტო სტეინი, IB პროგრამების დირექტორი

A BETTER WORLD THROUGH EDUCATION

50 years 1968 - 2018

CIS MEMBER

ი. სხირტლაძის ქუჩა 2, თბილისი, 0177, საქართველო
ტელ: (032) 239 59 64,

ელ-ფოსტა: info@europeanschool.ge
ვებ-გვერდი: www.europeanschool.ge

ამერიკული უმაღლესი სკოლის დღე

2018 წლის 17 და 25 აპრილს, ამერიკული უმაღლესი სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს პრეზენტაციები (Senior Project Presentations) ისეთ საინტერესო საკითხებზე, როგორებიცაა: უსასრულობა, თანამედროვე ხელოვნების პრობლემები, პარალელური მიკროსამყარო და ა.შ. პრეზენტაციების მოსამზადებლად თითოეული მოსწავლე მთელი წლის განმავლობაში თავის ხელმძღვანელთან ერთად მუშაობდა - თავდაპირველად მათ შეარჩიეს მათთვის საინტერესო თემები, ხელმძღვანელისგან დასტურის მიღების შემდეგ კი დაიწყეს კვლევა-ძიების პროცესი. მსგავსი პრეზენტაციების ჩატარება ამერიკული უმაღლესი სკოლის მე-12 კლასისთვის უკვე ტრადიციად იქცა. მოსწავლეებმა ისაუბრეს თავიანთი ინტერესის სფეროების გარშემო და ცოდნა გაუზიარეს დამსწრე საზოგადოებას. დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი მე-12 კლასის მოსწავლეები კიდევ უამრავ წარმატებას მიაღწევენ. ჩვენ მათით ვამაყობთ.

ჯოზეფ ბლეიკი, ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორი

საერთაშორისო ბაკალავრიატის დაწყებითი პროგრამისა (IB PYP) და ქართული პროგრამის დაწყებითი საფეხურის დღე

18 აპრილს საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებას „ევროპული სკოლის“ IB PYP და ქართული პროგრამის დაწყებითი საფეხურიც შეუერთდნენ. პროგრამა შედგებოდა მრავალფეროვანი ღონისძიებისაგან: „ევროპული სკოლის“ სპორტულმა დარბაზმა მხიარულ სტარტებს უმასპინძლა: IB PYP-ის მეოთხე “ა,” “ბ და “გ” კლასების გუნდები ერთმანეთს სხვადასხვა სპორტულ აქტივობსში შეეჯიბრნენ. გარდა ამისა, ჩატარდა ღია გაკვეთილები და IB PYP-ის კონცერტი „ევროპული სკოლის“ ეზოში.
ასამბლეაზე დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა წარმოადგინეს ტრანსდისციპლინარული თემები სხვადასხვა ფორმით, რაზეც საგნობრივად მუშაობდნენ მთელი წლის განმავლობაში.
ქართული პროგრამის I „ა“ კლასის მოსწავლეებმა ჩრდილების თეატრის სახით გადმოსცეს მოთხრობებში შესწავლილი ცხოველების ნირი; I „ბ“ კლასის მოსწავლეებმა ბაქტერიების გავრცელების პრობლემა განიხილეს; II კლასის მოსწავლეებმა იმსჯელეს, თუ რას ნიშნავს ნამდვილი მეგობრობა; მხოლოდ ადამიანს ახასიათებს ეს თვისება? შესაძლებელია თუ არა ადამიანებმა და ცხოველებმაც იმეგობრონ? III კლასის მოსწავლეებმა კომპოსტის დამზადებასა და მცენარეების ზრდა-განვითარებაში სასუქის დანიშნულების შესახებ წარმოადგინეს საინტერესო პრეზენტაცია. IV კლასმა კი ისაუბრა თაობებს შორის ურთიერთობების საკითხებზე.
ასამბლეა სხვადასხვა ნომინაციის დაჯილდოებით დასრულდა.

საერთაშორისო ბაკალავრიატის საბაზო პროგრამისა (MYP) და ქართული პროგრამის საბაზო და საშუალო საფეხურის დღე

19 აპრილს ქართული პროგრამისა და IB MYP-ის მოსწავლეები IB-ის 50-ე წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს შეუერთდნენ და სკოლაში ასამბლეები ჩაატარეს. ასამბლეაზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთი პროექტები, პრეზენტაციები და მუსიკალური ნომრები.
დღის ბოლოს გაიმართა IB MYP მე-10 კლასის მოსწავლეების პერსონალური პროექტების პრეზენტაცია. პერსონალური პროექტები შეეხებოდა სხვადასხვა თემატიკას, მათ შორის: ტურიზმი, ფსიქოლოგია, ეკოლოგია, პოეზია და ა.შ.

„ევროპული სკოლის“ მეორე სართულზე დიდი ფუსფუსია; ყოველი მხრიდან საუბრის ხმა ისმის; მე-10 კლასის მოსწავლეები სააქტო დარბაზში თანატოლებთან და მასწავლებლებთან ერთად შეკრებილან;
რა არის ამ შეკრების მიზეზი? MYP-ის პერსონალური პროექტების გამოფენა!
MYP-ის პერსონალური პროექტების მიზანია, მოსწავლეებმა MYP-ის წლებში მიღებული უნარ-ჩვევები გამოიყენონ და შექმნან პროდუქტი, რომელიც მათი მისწრაფებების ანარეკლი იქნება და ამავდროულად, საზოგადოებასაც მოუტანს სარგებელს. მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიკვლიონ ნებისმიერი საინტერესო საკითხი, იქნება ეს ტურიზმი, გარემოს დაცვა, ისტორიული ტრადიციების გაცოცხლება, ჩაგვრის აღმოფხვრა თუ სხვა. გარდა ამისა, მათ უნდა მოამზადონ 3500-სიტყვიანი ანგარიში, რომელშიც დაწვრილებით აღწერენ საკუთარ გამოცდილებას. პერსონალური პროექტი გაცილებით მეტია, ვიდრე საკვლევი თემა. პერსონალური პროექტი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გამოიჩინინონ ინიციატივა და შეისწავლონ ის საკითხი, რომლისთვისაც მათ სხვა შემთხვევაში დრო არც კი ექნებოდათ. სასწავლო წლის დასაწყისიდანვე MYP-ის მე-10 კლასის მოსწავლეები, მათ შორის მეც, აქტიურად ვიყავი ჩართული პროექტების სამზადისში.
მუშაობის დაწყებისთანავე ვიცოდი, რომ ჩემი პერსონალური პროექტი საინტერესო და ამავდროულად, საზოგადოებისთვის სასარგებლო უნდა ყოფილიყო.

მუდმივად ტესტებისა და დავალებების შესრულებამ გარემო, შესაძლოა, სტრესული გახადოს. უნდა ვაღიაროთ, რომ სკოლა ხმაურიანი, ენერგიული ადგილია. შესაბამისად, შევეცადე მეპოვა გზა, შემემცირებინა სტრესი. კვლევის დროს აღმოვაჩინე ასეთი პრაქტიკა - Mindfulness. ეს პრაქტიკა ბუდიზმიდან მოდის და ადამიანს ეხმარება, ყურადღება აწმყოზე გაამახვილოს, რათა შეამციროს შფოთვა, დაალაგოს ფიქრები და კონცენტრირების უნარი გაიუმჯობესოს. თვეების განმავლობაში მედიტაციის სავარჯიშოებს ვიკვლევდი, რათა MYP-ის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის შესაბამისი სემინარი ჩამეტარებინა. სულ სამი სემინარი ჩავატარე, რომელმაც MYP-ის მოსწავლეებს საშუალება მისცა, უკეთ გაეზრებინათ, თუ როგორ ისუნთქონ, დაისვენონ და იცხოვრონ აწმყოში. ეს უნარ-ჩვევები მთელი ცხოვრების განმავლობაში დაგვეხმარება, თუკი მათ მუდმივად გამოვიყენებთ.
პერსონალური პროექტის დამთავრების შემდეგ გავაცნობიერე, რომ გაცილებით მეტს მივაღწიე, ვიდრე სემინარების ჩატარება და ანგარიშის მომზადებაა. შეგრძნება, რომ სკოლის საზოგადოებისთვის რაღაც ღირებული გავაკეთე, ძალიან სასიამოვნოა. ვამაყობ, რომ IB-ის მოსწავლეებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები გამოვიყენე და ამ პროცესში ახალი უნარებიც შევიძინე. ჩემი კლასელების ინოვაციურმა პროექტებმა მაგრძნობინა, რომ ჩვენ ყველამ უნდა ვიამაყოთ ჩვენი მიღწევებით. გილოცავთ!

ფიამეტა ბოფი, MYP-ის მე-10 კლასის მოსწავლე

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დღე „ევროპულ სკოლაში"

20 აპრილს, IB-ის 50-ე წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, „ევროპულმა სკოლამ" საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დღეს უმასპინძლა. მეცნიერებათა დღე დილიდანვე აქტიურად და უჩვეულო გარემოში დაიწყო. ქიმიური ელემენტების ცნობილი სიმღერის ფონზე მე-10 კლასის მოსწავლეები - დავით გრიგოლია, მიშა ფრუიძე, ანა ახალაია და ნინი დაგარგულია - ხელოვნური სისხლით ჭრილობის იმიტაციით ხვდებოდნენ მოსულ სტუმრებს, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.
დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ღია გაკვეთილები სხვადასხვა თემაზე: „დედამიწა და გარე სამყარო," „ნიოსი - მკვლელი ტბა," „დნობა და დუღილი," „სამყაროს კლასიფიკაცია," „ქიმიური რეაქციის სიჩქარე," „აფრიკისა და ავსტრალიის ბინადრები" და ა.შ. გარდა ამისა, მოსწავლეებმა მოისმინეს ლექცია თემაზე: „ძილი და სიზმარი"; ჩატარდა სადემონსტრაციო ცდები ფიზიკაში, რომელიც ემსახურებოდა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების დაინტერესებას საბუნებისმეტყველო საგნებით.
სანახაობრივი იყო სკოლის შიდა ეზოც, სადაც მოეწყო ქიმიური შოუ; მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, მიერთვათ თხევად აზოტში გაყინული ბურბუშელები, დამწვრობის გარეშე ხელებზე ცეცხლი აეალებინათ, ენახათ სხვადასხვა ფერის გიგანტური ქაფების ამოფრქვევა და გამოეყენებინათ სხვადასხვა ფიზიკური ხელსაწყო.
დღე დაასრულა ქართული პროგრამის საბაზო და საშუალო საფეხურის ასამბლეამ. მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროექტები, მუსიკალური ნომრები, სპექტაკლები.

17 აპრილს მე და ჩემმა თანაკლასელებმა გადავწყვიტეთ, სტუმრად წავსულიყავით საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში და დედამიწის დღე ასე აღგვენიშნა. მებაღეებს სიამოვნებით დავეხმარეთ - ყვავილები და მცენარეები სარეველა ბალახისგან გავწმინდეთ. ვფიქრობ, დავალებებს კარგად გავართვით თავი. შევძელით, დაგვეთვალიერებინა მთელი ბაღი და ამავდროულად გავასუფთავეთ ბაღის ტერიტორია.

ნიკი ბეჟუაშვილი, MYP -ის მე-8 კლასის მოსწავლე

მოსწავლეთა კონფერენცია „ევროპულ სკოლაში"

საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) პროგრამის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში 2018 წლის 21 აპრილს „ევროპულ სკოლაში" მოსწავლეთა კონფერენცია ჩატარდა. კონფერენცია დაყოფილი იყო თემატურ სექციებად: უცხო ენები, მათემატიკა, ტექნოლოგიები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და საზოგადოებრივი მეცნიერებები. „ევროპული სკოლის" სამივე პროგრამის მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთი ნაშრომები და კვლევები. კონფერენციას ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები, რომლებმაც მოისმინეს ბავშვების პრეზენტაციები და შეაფასეს მათი ნაშრომები. კონფერენციის ბოლოს მონაწილეები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით.

ტექნოლოგიების დღე

ტექნოლოგიების დღეს საინტერესო გაკვეთილი ჩატარდა Lego Lab-ში. IB PYP-ის მოსწავლეებმა „რაკეტების შოუ" მოაწყვეს.
დასაწყისში მოსწავლეებმა და მასწავლებელმა რაკეტებზე ისაუბრეს, საკუთარი გამოცდილება ერთმანეთს გაუზიარეს. ბავშვებმა პედაგოგის მომზადებული პრეზენტაციაც ნახეს. შემდეგ ქაღალდისგან რაკეტების გამოჭრა და აწყობა დაიწყეს. რაკეტებს სქემის მიხედვით აგებდნენ: ინსტრუქციებს კითხულობდნენ, ნახაზებს არჩევდნენ, ქაღალდისგან ფიგურებს ჭრიდნენ, აწებებდნენ და აფერადებდნენ. ბოლოს სპეციალური ჯოხებიც მიამაგრეს და „რაკეტების შოუც" დაიწყო. სულის ჩაბერვით მათი აგებული რაკეტა შორს უნდა გაფრენილიყო; რაც უფრო შორს გაფრინდებოდა რაკეტა, მით უფრო უხაროდათ პატარებს.
შემდეგ შესრულებული სამუშაოს ანალიზი დაიწყო: რატომ არ გაფრინდა ყველა რაკეტა შორს? რა აფერხებს ფრენას?
თუ სიმძიმეს დავამატებთ, უფრო შორს გაფრინდება თუ არა რაკეტა? ამ კითხვებს ექსპერიმენტის შემდეგ, გაკვეთილის ბოლო ნაწილში უპასუხეს.
მოსწავლეებმა იმხიარულეს, ბევრი ახალი უნარი და ცოდნა შეიძინეს და იმ დიდ სამყაროში ერთი პატარა ნაბიჯიც გადადგეს, რომელსაც რაკეტების მშენებლობის ტექნოლოგია ჰქვია.
დღის ბოლოს სკოლაში, STEM პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა STEM ვიქტორინა. ღონისძიების ორგანიზატორები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტები იყვნენ. ვიქტორინაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის სამივე პროგრამის მე-8 კლასის მოსწავლეებმა. მოსწავლეებს ცოდნისა და უნარების დემონსტრირება STEM დისციპლინებიდან უწევდათ. პასუხებს ჟიური აჯამებდა. ვიქტორინის ბოლოს გამოვლინდა გამარჯვებული გუნდიც, თუმცა სერტიფიკატით ყველა კლასი დაჯილდოვდა.

უცხოური ენების დღე

„ჩვენ მსოფლიო მოქალაქეები ვართ" - ეს იყო „ევროპულ სკოლაში" უცხოური ენების დღის მთავარი თემა. სხადასხვა ქვეყნის ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა მოსწავლეებმა, რომლებიც თავიანთი კულტურისათვის დამახასიათებელი წესით მასპინძლობდნენ სტუმრებს - მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს, ნათლად გამოხატეს ჩვენი სკოლისთვის დამახასიათებელი კულტურული მრავალფეროვნება.
გერმანული და ფრანგული ენის გაკვეთილებზე მოსწავლეებმა უცხოური ენები მუსიკით გააცოცხლეს და იმსჯელეს, როგორ გვეხმარება მუსიკა, ჩავწვდეთ ამა თუ იმ ერისა და კულტურის მახასიათებლებს.
IB MYP მე-7 კლასის მოსწავლეებმა ქართული პროგრამის მე-6 კლასის მოსწავლეებს გაუზიარეს IB პროგრამაში სწავლისას შეძენელი გამოცდილება; ბავშვებმა ერთად განიხილეს IB მოსწავლის მახასიათებლები (IB Learner Profile), მოხატეს სკოლის შიდა ეზო და მონაწილეობა მიიღეს პროექტში „აღმოაჩინე IB." IB MYP-ის მოსწავლეებმა სკოლის შიდა ეზოში ჩაატარეს ფლეშმობი, დასასრულს კი აღმართეს პოსტერები წარწერით: „ჩვენ მსოფლიოს მოქალაქეები ვართ."
უცხოური ენების დღე „ევროპული სკოლის" სააქტო დარბაზში დასრულდა IB PYP-ის მე-5 კლასის მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლით რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

ქართული ენისა და ლიტერატურის დღე

ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის დღე სასიამოვნო სიურპრიზით დაიწყო - სკოლის ფოიეში შემოსულ პედაგოგებსა და მოსწავლეებს „ნამდვილი" ვასიკო კეჟერაძე დახვდათ - კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა. „მასპინძელი" სტუმრებს სახელდახელოდ მოწყობილ ფოტოატელიეში მიუძღვებოდა, სამახსოვრო ფოტოებს იღებდა, „ჩასაფრებული" ჟურნალისტები - სკოლის მეშვიდეკლასელი მოსწავლეები - კი ინტერვიუს იღებდნენ მათგან.
ზარის დარეკვის შემდეგ ქართული ლიტერატურის სიყვარული საკლასო ოთახებში გაგრძელდა - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით წარმოადგინეს გაკვეთილები, პროექტები, დისკუსიები, როლური თამაშები.
ქართული, ამერიკული უმაღლესი სკოლის და საერთაშორისო ბაკალავრიატის მოსწავლეები თანაბარი ინტერესითა და მონდომებით იყვნენ ჩართულნი IB 50 საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს „ევროპული სკოლის" მოსწავლეთა ერთიანობას და რაც მთავარია, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარულს.

მათემატიკის დღე ევროპულ სკოლაში

საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) პროგრამის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში 26 აპრილს „ევროპულ სკოლაში“ მათემატიკის დღე გაიმართა.

თითოეული მასწავლებელი შეეცადა, ყოველ გაკვეთილსა და ღონისძიებაზე მათემატიკის სწავლება სწორედ საერთაშორისო ბაკალავრიატის მოთხოვნის ჭრილში წარმოეჩინა, რაც გულისხმობს კვლევაზე ორიენტირებულ სწავლებასა და სწავლას კეთებით, რომლის დროსაც გაკვეთილზე წარმმართველი ფიგურა მოსწავლეა. მსგავსი მიდგომა და გაკვეთილების ასე წარმართვა განაპირობებს მოაზროვნე და მკვლევარი მოსწავლეების ჩამოყალიბებას.

აქტივობები იყო წარმოდგენილი თემატურად: „რეალური ამოცანები პროცენტებზე,“ „საველე მუშაობა მათემატიკაში,“ „შემაჯამებელი გაკვეთილი smart ტექნოლოგიის გამოყენებით,“ „თავის შემაჯამებელი გაკვეთილი ოქროს კვეთაზე,“ „მსგავსება მათემატიკაში და ცხოვრებაში,“ და ა.შ. ეს იყო მართლაც საინტერესო გაკვეთილები, რომლის დროსაც წარმოჩინდა ყველა ის უნარი, რომელსაც მათემატიკის გაკვეთილებზე განივითარებენ მოსწავლეები.

„ევროპული სკოლის“ მოსწავლეებმა იციან, რომ მათემატიკა უპირველესად რეალურ ცხოვრებაში გამოიყენება და ამის დამადასტურებლად მრავალი მაგალითის მოყვანაც შეუძლიათ; მეხუთეკლასელებმა აჩვენეს, როგორ შეიძლება ამოცანების ამოხსნა თამაშითა და ხალისით; 7MYP-ის მოსწავლეებმა განვლილი თავი შეაჯამეს; 10MYP-ის მოსწავლეებმა კვლევით ნაწილზე მუშაობის პროცესი აჩვენეს.

მათემატიკის დღის დამაგვირგვინებლად შეიძლება ჩაითვალოს IB DP-ის მოსწავლეების გაკვეთილი, რომლის დროსაც იმსჯელეს მათემატიკის ფილოსოფიურ ასპექტებზე ცოდნის თეორიის (TOK) კუთხით. გაიმართა დისკუსია - მათემატიკა გამოგონილია თუ შექმნილი. მოსწავლეებმა გაკვეთილზე წარმოაჩინეს, რომ მათემატიკა მრავალმხრივი, მრავალწახნაგოვანი მეცნიერებაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს მრავალ ასპექტს, მათ შორის ესთეტიკურსა და ფილოსოფიურს.

დღის ბოლოს „ევროპულ სკოლას“ ესტუმრა პროფესორი ჰამლეტ მელაძე, რომელმაც მოსწავლეებს წაუკითხა ლექცია სათაურით - „მათემატიკა ფორმულების გარეშე.“

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დღე

საზოგადოებრივი დეპარტამენტის დღეს „ევროპულმა სკოლამ“ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებას უმასპინძლა: მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტებსა და ვიქტორინებში, შექმნეს პოსტერები და ვიდეორგოლები, ფოტოების მეშვეობით გააცოცხლეს ისტორია, სკოლის ისტორიაში პირველად ჩაატარეს იმიტირებული სასამართლო პროცესი; პატარებმა, უფროსკლასელების დახმარებით, იმსჯელეს პირველი მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებზე, წამოაყენეს არგუმენტები და იკამათეს.

მე-11 კლასის მოსწავლის კომენტარი: „მასწავლებლის როლის მორგება გამოწვევა იყო ჩვენთვის. თავიდან ცოტა ვინერვიულეთ, თუმცა გაკვეთილის დაგეგმვის პროცესმაც და თვითონ გაკვეთილმაც ძალიან კარგად ჩაიარა.“

მე-12 კლასის მოსწავლეებმა ცხარე დისკუსია გამართეს გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ. მოსწავლეები ჯგუფებად გადანაწილდნენ, წამოაყენეს არგუმენტები და წარმოადგინეს გეორგიევსკის ტრაქტატის ალტერნატივები.

საინტერესოდ ჩაიარა მე-10 კლასის მოსწავლეების პროექტმა - „ფოტოებით გაცოცხლებული ისტორია.“ ფოტოების მეშვეობით მოსწავლეებმა წარმოაჩინეს სახელმწიფოების დაარსების, ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები.

იმიტირებული სასამართლო პროცესი

27 აპრილს მე-11 კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს იმიტირებული სასამართლო პროცესი. პროცესზე განიხილეს ისტორიაში ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების საქმიანობის საკითხები; განხილვა წარიმართა სასამართლო პროცესის წესების სრული დაცვით - მოსწავლეებმა მოირგეს მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატისა და დანაშაულში ეჭვმიტანილების როლები. მონაწილე მოსწავლეების კომენტარები:

ნინი კინტრაია: „შევძელი, კარგად შემესწავლა საქართველოს ისტორიული მდგომარეობა XIII-XIV საუკუნეებში, შევძელი კრიტიკულად შემეხედა მათთვის, ვისაც ისტორიაში გმირის სახელი აქვს.“

ანუკი ლატარია: „ჩემთვის ეს იყო განსხვავებული გაკვეთილი, რომლის საშუალებითაც შევძელი, საფუძვლიანად შემესწავლა ისტორიული პერიოდი, დამენახა ისტორიული პირების დადებითი და უარყოფითი მხარეები, შემეფასებინი ისინი კრიტიკულად. ადვოკატის ამპლუამ შესაძლებლობა მომცა, მეფეები ჩვეულებრივ ადამიანებად აღმექვა.“

ლუკა ლელუაშვილი: „იმიტირებული სასამართლო დაგვეხმარა, ისტორიული მოვლენები დაწვრილებით გაგვეანალიზებინა და ისტორიული ფიგურებისთვის განსხვავებული თვალით შეგვხედა.“

“ევროპული სკოლის“ მარათონი

საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული „ევროპულმა სკოლამ“ 28 აპრილს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული შეჯიბრით დაასრულა. 2500 მეტრის სიგრძის გარბენში „ევროპული სკოლის“ სამივე პროგრამის დაახლოებით 50-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა (ქართული პროგრამა, ამერიკული უმაღლესი სკოლა, საერთაშორისო ბაკალავრიატი – IB). მარათონის მიზანი გახლდათ სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და წახალისება სკოლის საზოგადოებაში.

საბოლოო შედეგები
გოგონები (მე-7-9 კლასები)
პირველი ადგილი: ქსენია კოჩურაიტე
მეორე ადგილი: ანა ჭელიძე
მესამე ადგილი: რუსუდან თედორაძე
გოგონები (მე-10-12 კლასები)
პირველი ადგილი: ევა დუდოლენსკა
მეორე ადგილი: ელენე ლოლაშვილი
მესამე ადგილი: მია ბაიათი
ბიჭები (მე-7-9 კლასები)
პირველი ადგილი: ლი ჟენგ იანგი
მეორე ადგილი: თემურ იორდანიშვილი
მესამე ადგილი: ირაკლი ქიქოძე
ბიჭები (მე-10-12 კლასები)
პირველი ადგილი: ნიკოლოზ სამუშია
მეორე ადგილი: გიორგი დარჩიძე
მესამე ადგილი: ლუკა დავლიანიძე

„შესანიშნავი ამინდი იყო; მე და ჩემმა კლასელებმა ტბის გარშემო ვირბინეთ და დრო ხალისიანად გავატარეთ,“ ლუკა-კონსტანტინ შატბერაშვილი, DP მე-11 კლასის მოსწავლე.
“მარათონმა კარგად ჩაიარა. ვფიქრობ, ასეთი აქტივობები უფრო ხშირად უნდა გვქონდეს. სუფთა ჰაერი ჩავისუნთქეთ, ვირბინეთ, ვიხალისეთ. ყველას ძალიან უნდოდა, პირველ ადგილას გასულიყო. ვამაყობ, რომ მესამე ადგილი დავიკავე,“ მია ბაიათი, DP მე-11 კლასის მოსწავლე.